

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N205 საცხოვრებელი სახლის
N29 ბინაზე, მოქალაქე გულნარა ხელაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩა N205 საცხოვრებელი სახლის N29 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გულნარა ხელაძისა და მისი წარმომადგენლის მარინა იოსელიანის განცხადებებები /2013 წლის 24.07 №-7093, 24.07 №-7641/, რითაც ითხოვენ საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N205 საცხოვრებელი სახლის N29 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე გულნარა ხელაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N205 საცხოვრებელი სახლის N29 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გულნარა ხელაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N205 საცხოვრებელი სახლის N29 ბინაზე /საერთო ფართობი 69,66 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 44,96 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,70 კვ.მ./ მოქალაქე გულნარა ხელაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი